ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4825908

ნომერი: AR1728078

თარიღი : 10.01.2020

გაცემის თარიღი : 17.01.2020

გაცნობის თარიღი : 03.02.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი, N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რადოსლავ ცვეტანოვ დუდოლენსკი პ/ნ 01291003300
- თბილისი, ჭაბუა ამირეჯიბის გამზ #4

ორგანიზაცია:

- ჰიდროლეა ტრეიდინგი კოდი: 406110989

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 11 იანვრის №4334333 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 10 იანვარს NAR1728078 განაცხადით მომართა რადოსლავ ცვეტანოვ დუდოლენსკიმ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 11 იანვრის №4334333 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 11 იანვრის №4334333 ბრძანებით ქ. თბილისში, ატენის ქუჩის შესახვევში (ს/კ N01.14.14.005.242) სასტუმროს შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 11 იანვრიდან 2021 წლის 11 იანვრის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს „ჰიდროლეა ტრეიდინგი“ (406110989).
წარმოდგენილი განაცხადით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სახელის ცვლილების გამო, მოთხოვნილია სამსახურის 2019 წლის 11 იანვრის №4334333 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად შპს „ჰიდროლეა ტრეიდინგი“-ს (406110989) ნაცვლად შპს „ჰოტელეა“-ს (406110989) დაფიქსირება.
საჯარო რეესტრი ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: N902019007344, მომზადების თარიღი: 05/12/2019 11:21:10) თანახმად, N01.14.14.005.242 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ჰოტელეა“ (406110989). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B19133371, მომზადების თარიღი: 28/11/2019 11:25:42), შპს „ჰოტელეა“-ს (406110989) დირექტორს წარმოადგენს რადოსლავ ცვეტანოვ დუდოლენსკი.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან სხვა პირი, რომელსაც აქვს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა და ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ვინაიდან, დღეისათვის, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ჰოტელეა“ (406110989), რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელი სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „ჰოტელეა“ (406110989) დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 11 იანვრის №4334333 ბრძანებაში და დამკვეთად შპს „ჰიდროლეა ტრეიდინგი“-ს (406110989) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „ჰოტელეა“ (406110989).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 11 იანვრის №4334333 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 11 იანვრის №4334333 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.